საქართველოს მთავრობის

დადგენილება №396

2023 წლის 10 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 ივნისის №337 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 ივნისის №337 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/06/2022, 430040000.10.003.023548) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პირველადი რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის“:

1. მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს რეგისტრირებული/ასახული მონაცემების ცვლილება დაწესებულებისა და გაერთიანების მიერ შესაძლებელია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით პირველადი რეგისტრაციისათვის გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის „ბ^1“ ქვეპუნქტით პირველადი რეგისტრაციისათვის გათვალისწინებულ ვადაში, გარდა ამ მუხლის 7^1 და 7^2 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევისა.“.

2. მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 და 7^2 პუნქტები:

„7^1. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გასვლის შემდგომ რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული დაწესებულება, გაერთიანება ან ინდივიდუალური მეწარმე ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ველში ასახული ინფორმაციის შეცვლის ან/და მისამართის დამატების შემთხვევაში ვალდებულია, შესაბამისი მონაცემების ასახვა განახორციელოს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.

7^2. ინდივიდუალური მეწარმე ვალდებულია, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირის რეგისტრაცია რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში, ამ წესის მე-3 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული ინფორმაციის/მონაცემების ასახვის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, პირველადი რეგისტრაციის ეტაპზე რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული

ინდივიდუალური მეწარმის/ინდივიდუალური მეწარმეების პირადი ნომრის/ნომრების მითითებით.“.

3. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია ინახება 2030 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები წაიშლება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**